

A MOTHER OF A DEAD CHILD IN FOLK AND FICTION  
("A POEM OF A TIGER AND A NIGHT", "A DREAM OF ZARZMA")

შვილმკვდარი დედა ფოლკლორულ და მხატვრულ ტექსტებში  
(„ლეჟი ვეფხვისა და მოყმისა“, „ზარზმის ზმანება“)

**Ketevan Barbakadze**

Doctor of Pedagogy,  
Associate Professor at Gori State University,  
Gori, Chavchavadze Str., N53, 1400, Georgia,  
+995577151211, qbarbakadze@gmail.com,  
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

**Abstract.** The face of a mother of a dead child is quite common in Georgian literature. However, a parent who can express her condolences to another mother or cry like her own child is quite rare. In this regard, we selected the ideal-themed aspects of the texts of two works: the folk ballad "A Poem of a Tiger and a Night" and Grigol Abashidze's poem "A Dream of Zarzma".

The paper discusses the second part of the ballad, which includes the feelings of the mother of a dead child. The feelings in the fiction text of Gr. Abashidze's poem "A Dream of Zarzma" found a different solution: imaginary placement of one mother in another unknown mourning mother and mourning of an unknown soldier.

Such a solution to the poem story is more or less related to the topic of those soldiers who were returning home at the end of World War II. The opinion of the researchers on this issue is quite scarce, so on the contrary of the rather "odious" assessment of Soviet literary scholars, we tried to study what links the excerpt from the folk ballad to Gr. Abashidze's poem "A Dream of Zarzma".

**Key words:** A knight, a tiger, a mother of a dead child, a dream, mourning, Goletian.

ქეთევან ბარბაქაძე

პედაგოგიკის დოქტორი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., N53, 1400, საქართველო,  
+995577151211, qbarbakadze@gmail.com,  
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

**აბსტრაქტი.** შვილმკვდარი დედის სახე ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად გვხვდება, თუმცა, მშობელი, რომელსაც ძალუძს სამძიმარი გამოუცხადოს სხვა დედას, ან საკუთარი შვილივით დაიტყოს სხვისი შვილი, საკმაოდ იშვიათია. ამ კუთხით საკვლევად შევარჩიეთ ორი ნაწარმოების: ხალხური ბალადის - „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ და გრიგოლ აბაშიძის პოემის „ზარზოს ზმანების“ ტექსტების იდეულ-თემატური ასპექტები.

ნაშრომში განხილულია ბალადის მეორე ნაწილი, რომელშიც შვილმკვდარი დედის ის განცდებია მოცემული, რამაც მხატვრულ ტექსტში, გრ. აბაშიძის პოემაში „ზარზოს ზმანება“, სხვაგვარი გადაწყვეტა ჰპოვა: ერთი დედის მიერ მეორე უცნობი მგლოვიარე დედაში წარმოსახვით განთავსება და უცნობი ჯარისკაცის დატირება.

პოემის სიუჟეტის ასეთი გადაწყვეტა მეტ-ნაკლებად უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის დასასრულს შინ დაბრუნებულთა თემასაც. აღნიშნულ საკითხზე მკვლევართა ნააზრევი საკმაოდ მწირია, ამიტომ ვცადეთ საბჭოური ლიტერატურათმცოდნეთა საკმაოდ „ოდიოზურ“ შეფასების საპირისპიროდ სიღრმისეულად შეგვესწავლა რა აკავშირებს ხალხური ბალადიდან ამოღებულ ნაწყვეტს გრ. აბაშიძის პოემასთან „ზარზოს ზმანება“ მასში ავტორის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხების ფიქსირებით.

**საკვანძო სიტყვები:** მოყმე, ვეფხვი, შვილმკვდარი დედა, ზმანება, გლოვა, გოლეთიანი.

**შესავალი.** ხალხური ბალადის „ლექსი ვეფხვისა და მოყმის“ ირგვლივ (რომლის 13-იოდე მოკლე და 9 ვრცელი ვარიანტი არსებობს) მკვლევართა ნააზრევი საკმაოდ ბევრია (ვ. კოტეტიშვილი, გ. არაბული, ა. არაბული, ა. შანიძე და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება იმ ნაწილს ეთმობა, რომელშიც მწუხარე დედის განცდები და სიზმარია გადმოცემული.

ცნობილი ფოლკლორისტი ამირან არაბული შენიშნავს: "ბალადა ვეფხვისა და მოყმისა" თავისი შინაარსით, წყობითა და არქაულობით ქართული ხალხური პოეზიის შედეგია... ბალადის ყოველი სიტყვა დეტალურად არის გამოკვლეული და შესწავლილი, მაგრამ საბოლოო აზრისგან ჩვენ მაინც შორს ვართ, რადგან შეუძლებელია, ამ რანგის ნაწარმოებში ყველაფერი გამჭვირვალე და გასაგები იყოს. ალბათ, ეს არც არის აუცილებელი. თუკი ყველაფერი ამოვხსენით და გავშიფრეთ, მაშინ ხელოვნების ნაწარმოები რამდენადმე დაკარგავს თავის იდუმალეზასა და მიმზიდველობას... "ვეფხვისა და მოყმის ბალადას" ქვაკუთხედად უდევს მოყმის დედის დამოკიდებულება ვეფხვის დედის მიმართ. მოყმის დედა ქართველი ქალის განზოგადებული სახეა, მისი ყველა საუკეთესო თვისების კრებითი ხატი (ხაზი ჩვენია - ქ.ბ.). მსოფლიო პოეზიაში მე არ მეგულება მსგავსი პრეცედენტი, სადაც მტერი მტერს უცხადებს თანაგრძნობასა და თანადგომას, თანაც მაშინ, როცა შვილი ჯერ კიდევ დასაკრძალი ჰყავს" (ჩხარტიშვილი,

2006). როგორც მწერლის ქალიშვილი, თოლია აბაშიძე, პირად საუბარში აღნიშნავს ზემოხსენებული ბალადა მწერლის საყვარელი ფოლკლორული ნიმუში ყოფილა. ბალადა გრიგოლ აბაშიძემ ეპიგრაფის სახით წარუმიძღვარა თავის პოემას - „ზარზმის ზმანება“. „ეს ეპიგრაფი პოეტს შემთხვევით არ აურჩევია. პოემის ლექსმოტივი, მისი მიზანდასახულობა და იდეური ჩანაფიქრი ხსენებულ ხალხურ ბალადას ენათესავება. ეს ნათესაობა იმდენად აშკარა და სისხლხორცეულია, „ვეფხვი და მოყმე“ პოემის საფუძვლად, მის მთავარ საყრდენადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ“ (შამანაძე, 1980:62).

აღნიშნულ საკითხზე მუშაობდნენ მკვლევრები: შალვა რადიანი და შალვა აფხაიძე, რომელთაც, რატომღაც, პოემა „ზარზმის ზმანება“ ხელოვნურ, დაუჯერებელ ფაქტზე აგებულ ნაწარმოებად მიუჩნევიათ. მაგალითად, პროფ. შალვა რადიანი წერდა: „იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პოემის მთელი ამბავი ხელოვნურადაა აგებული“ (რადიანი, 1953: 269), ხოლო მკვლევარი შალვა აფხაიძე შენიშნავდა: „ფსიქოლოგიურად რამდენად დამაჯერებლად არის დამუშავებული პოემის გმირთა ურთიერთობანი - ეს სხვა საკითხია. ეს უფრო მხატვრის მიერ წინასწარ შემუშავებული სქემაა, ვიდრე სინამდვილის სურათი, ვინაიდან ძნელი დასაჯერებელია, დედამ, შვილმა, რძალმა ისე ღრმად განიცადონ დაღუპვა ადამიანისა, რომელიც მათ არასდროს არ უნახავთ, არაფერი მასზე არ სმენიათ, მით უმეტეს მაშინ, როცა ღვიძლი შვილი დაბრუნდა და დედა და ცოლი მისი სიყვარულის შუქში ტკბებიან“ (აფხაიძე, 1959: 129).

ცოტა ქვემოთ მკვლევარი შ. აფაიძე განსხვავებულ შენიშვნას აკეთებს, რომ დედის ქმედება მეტ-ნაკლებად დამაჯერებელიაო.

მიზანი ჩვენი კვლევისა სწორედ იმ ფაქტორების გამოკვეთა-წარმოჩინებაა, რამაც განსაზღვრა დედის ქმედება სხვისი შვილის დატირების სახით და, საერთოდ, პოემის კონტენტის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილის გარკვევაც.

დაახლოებით იგივე აზრს ავითარებს მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილიც: „რაც შეეხება „ზარზმის ზმანებას“, ავტორისეული სათქმელის არსს ამჯერად, უწინარეს ყოვლისა, ადამიანურ ურთიერთობათა ზნეობრივი თვალთახედვით განსჯა განსაზღვრავს. მართალია, პოემაში მოთხრობილი ამბის ცალკეული ეპიზოდები სათანადოდ მოტივირებული არაა და არადამაჯერებლობის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ნაწარმოები მთლიანობაში მაინც უნდა შეფასდეს, როგორც ერთ-ერთი საგულისხმო მხატვრული ქმნილება გრ. აბაშიძის შემოქმედებაში“ (ნიკოლეიშვილი, თ.გ.:260).

**მეთოდები.** გამოყენებულ იქნა შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის მეთოდები.

**შედეგები და მსჯელობა.** ეპიგრაფად გამოყენებული ბალადა, თავდაპირველად ვეფხისა და მოყმის დაღუპვით სრულდებოდა. გასული საუკუნის დასაწყისში კი ბალადას გაუჩნდა გაგრძელება, რომელმაც მას სახელი ძალიან გაუთქვა. „მის გარეშე, საეჭვოა, რომ „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ ესოდენ პოპულარული გამხდარიყო“ (კიკნაძე, 2007: 272) - შენიშნავს მკვლევარი ზურაბ კიკნაძე და იქვე დასძენს: „ვინც არ უნდა ყოფილიყო „მეორე კარის“ შემქმნელი, გიორგი ჯაბუშანური, არცთუ უსახელო მელექსე, თუ სხვა ვინმე, მისი პოეტური ტალანტი ეჭვს არ იწვევს. ლექსი, რომელიც ექვსგზის ამეტებს ძირითად ტექსტს, თავისთავად დიდებულია, დედის მოტივი ბრწყინვალედ არის დამუშავებული“ (კიკნაძე, 2007: 272). „რაც მეტია მწუხარება, დედის გული მით უფრო სათნო და შემწყნარებელი ხდება. იგი თანაგრძნობას უცხადებს თავის შვილის მკვლელსა და მისგანვე მოკლული ვეფხვის დედას, რადგანაც ორივენი ერთნაირ მწუხარებას განიცდიან, - ორივენი შვილებს გლოვობენ:

„ხან იფიქრებდა: უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა?  
იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღე-და-ღამ ტირისა!

წავიდ, მეც აიქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა,  
 ისიც მიაშობს ამბავსა, მეც უთხრა თავის შვილისა,  
 იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა” (არაბული, 2010: 26).

გრიგოლ აბაშიძის პოემა „ზარზმის ზმანება” 1949 წელს გამოქვეყნდა და, როგორც მკვლევარი ნოდარ შამანაძე შენიშნავს „მცისვე ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია” (შამანაძე, 1980: 64). იგი შედგება 19 თავისაგან, რომლებიც პირობითად ასე შეიძლება დასათაურდეს: პირველი - „გოლეთიანის „დაბრუნება””, მეორე - „მიტოვებული სოფელი”, მესამე - „სინათლე მეზობლის სახლში”, მეოთხე - „მოხუცის ნაამბობი”, მეხუთე - „გოლეთიანის გახსენება”, მეექვსე - „გოლეთიანის „გარდაცვალების” ლეგენდა”, მეშვიდე - „გადასახლება ზარზმაში”, მერვე - „დალუპული ჯარისკაცის სევასტოპოლიდან გადმოსვენება”, მეცხრე - მეთერთმეტე - „გოლეთიანის დაბრუნება სამცხეში”, მეთორმეტე - „დედის წუხილი”, მეცამეტე - „გოლეთიანის შეხვედრა ოჯახთან”, მეთოთხმეტე - „ლხინი დაბრუნების აღსანიშნავად”, მეთხუთმეტე - „დედის სიზმარი”, მეთექვსმეტე - „უცხო ვაჟის სამარესთან”, მეჩვიდმეტე - „დედის ზმანება”, მეთვრამეტე - „საფლავთან მჯდომი მტირალი ქალი” და მეცხრამეტე - „უცხო ვაჟის დატირება”. თითოეულ თავს ავტორისეული „დატვირთვა” გააჩნია.

როგორც მკვლევარი ნოდარ შამანაძე შენიშნავს: „„ზარზმის ზმანების” ფაბულა მარტივია, მაგრამ მრავლის მთქმელი. გოლეთიანების ოჯახს ფრონტიდან შვილის დალუპვის დეპეშა მოუვიდათ. მალე ამ სამწუხარო ამბის მხილველიც აღმოჩნდა, ომიდან დაჭრილი ჯარისკაცი ჩამოვიდა და მგლოვიარე დედას გულისტკივილით გაუმხილა: შენმა შვილმა სევასტოპოლის ფრონტზე ჩემს თვალწინ დალია სული და საფლავი მე თვითონ გავუთხარეო. გოლეთიანის დედაც და ცოლიც დარწმუნდნენ რა თავიანთ უბედურებაში, ოჯახის უფროსს სულის მოსახსენიებელი ყველა რიტუალი გადაუხადეს. შემდეგ დედა იმდენს ეცადა, სევასტოპოლში წასვლა და შვილის ცხედრის ჩამოსვენება შეძლო. მაგრამ დალუპვის ცნობაც და დაჭრილი ჯარისკაცის ნაამბობიც სიცრუე აღმოჩნდა: გოლეთიანი შინ საღსალამათი დაბრუნდა (შამანაძე, 1980: 62).

გრიგოლ აბაშიძე შთამბეჭდავად აღწერს „დალუპული” ჯარისკაცის დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს, რომლის გვერდით გადაჭარბებული ღრეობის გამო ერთგვარი ირონიაც იგრძნობა:

„უნდა დაცალოს ყველამ მხედრულად,  
 ახლა ბიჭებო, ქვე ვთქვათ ქვედრულა!  
 ერთ დამწყებს მიჰყვა გუგუნნი ასის,  
 ცაში ისვრიან ყანწებს ცარიელს:  
 „დალიე და დადგი თასი,  
 სულ დალიე, დალიე!...”  
 მსმელებმა სვეს და მოიკლეს ჟინი,  
 შუადამემდე გაგრძელდა ლხინი” (აბაშიძე, 1980: 280).

შვილის დაბრუნება დედისთვის, რა თქმა უნდა, სიხარულის მომტანია, თუმცა, მეორეს მხრივ, მას მოსვენება დაეკარგა. იგი იწყებს წუხილს იმ უცნობ ჯარისკაცზე, რომელიც შეცდომით ჩამოასვენა.

ისევე, როგორც „ვეფხისა და მოყმის” ბალადაში, აქაც სიზმარს ხედავს დედა  
 „ძლივს დგება დედა, მუხლები უთრთის,  
 მაგრამ სამარეს დახედავს წუთით,  
 კედლები თითქოს გალავნებია,  
 განზე გასულან გამოსაჩენად,  
 დაჭრილი მის შვილს არ მგვანებია  
 და უკვირს შვილად რამ მოაჩვენა?!  
 მობრუნდა, ზურგი აქცია უცხოს,

ცრემლისმთხოვნელმა ვედრება უწყო,  
 გულის შემძვრელი შექმნა ღალადი,  
 მიმავალს ფეხი რომ მოუცელოს:  
 „აქ რად მოგყავდი, აქ რად მმარხავდი,  
 თუ დამტოვებდი ბოლოს უცრემლოდ” (აბაშიძე, 1980: 283).

მოყმის დედისგან განსხვავებით გოლეთიანის დედა სიზმარს რამდენიმე ნაწილად ხედავს:

„მაგრამ უეცრად რა მოხდა ნეტავ,  
 მძინარი უკვე სხვა სიზმარს ხედავს:  
 ყირიმის ზეცა ბროლივით ბრწყინავს,  
 შემოდგომაა, ცვენა ფოთოლთა,  
 და როგორც ერთხელ, ორი წლის წინათ,  
 დედა კვლავ მოხვდა სევასტოპოლთან.  
 გაოცებულმა მიაპყრო თვალი,  
 საფლავთან იჯდა მტირალი ქალი,  
 ფერი წაერთო უეცარ ზაფრას,  
 ფრჩხილით იხოკდა სახეს მზებნელი,  
 ჩაშტერებოდა ცარიელ საფლავს  
 მიბარებული შვილის მძებნელი” (აბაშიძე, 1980: 283).

აქ პოეტის მიერ საოცრად ბევრისმთქმელია გოლეთიანის დედის სიზმარში დედის განცდები. დედას ეცნო საფლავი. ორი წლის წინ თავად ჩამოვიდა მის სანახავად, თავად გადათხარა შვილის საქართველოში გადასასვენებლად:

„რას იფიქრებდა მაშინ შემცდარი,  
 რომ სჩადიოდა ცოდვას უდიდესს,  
 როცა მოთხარა სხვისი ცხედარი.  
 მაშინ საბრალოს სხვა რა ეღონა,  
 შვილი იპოვა მართლა ეგონა.  
 შვილი ცოცხალი ჰყოლია ბედად,  
 რა პირით სთხოვოს ამ ქალს შენდობა,  
 მკვდარს დაუკარგა ნამდვილი დედა,  
 არც გაუწია თავათ დედობა” (აბაშიძე, 1980: 284).

დედის ზმანებაში შემოდის გარდაცვლილი უცხო ჯარისკაციც, რომელიც საყვედურობს გოლეთიანის დედას:

„აქ რად მოგყავდი, აქ რად მმარხავდი,  
 თუ დამტოვებდი ბოლოს უცრემლოდ!” (აბაშიძე, 1980: 286).

ეს კარგად ჩანს მათ სიზმარულ დიალოგშიც:

- „თუ კიდევ იყავ ზარზმაში წლეულს,  
 ზარზმის ტაძართან კიდევ თუ ნახე  
 უცხო სამარე ოხერტიალი?  
 - ვნახე, ზედ ცრემლებს აფრქვევს მუდამდღე  
 მოხუცი დედა გოლეთიანის.  
 გოდება მოგავს ჩუმ ქვითინს უფრო,  
 სხვის ვაჟკაცს სტირის უჭირისუფლოს,  
 ვინ იცის უცხო ვაჟკაცს რა ჰქვიან,  
 ვის სტირის დედა, მარტო მისული,  
 იქნებ მას მოხვდა ანაზდად ტყვია -  
 მისი შვილისთვის გამომიზნული” (აბაშიძე, 1980: 288).

დედის განცდას დანაშაულის გრძობაც ემატება. მან, თუმცა შეცდომით, შეურაცხყო სხვისი საფლავი, ამით უფრო უმძაფრდება ტკივილი ისე, რომ შვილის დაბრუნებით გამოწვეულ განცდასაც რამდენამდე აჭარბებს, ასევე გაუცნობიერებლად დედამთილის გლოვიდან გამომდინარე, რძალიც დასტირის საფლავს სხვისი ქმრის თუ ძმისა. მკვლევარებისგან განსხვავებით არ გვეჩვენება უცნაურად ორი ადამიანის გლოვა, უნახავ, უცნობ ჯარისკაცზე, რამდენადაც, ავტორი სწორედ აქ ცდილობს განაზოგადოს ის განცდები, რაც ომის მძიმე ჭრილობებს მოსდევს. გოლეთიანის დედის განცდა ყველა შვილმკვდარი დედის განცდაა, რაც მოჰყვება ომის მსახვრალ ხელს. პოეტი შემთხვევით არ მიმართავს ერთგვარ დაპირისპირებას, რაც მოსდევს რაჭიდან სამცხეში გადმოსახლებულთა განსხვავებულ განცდებს. რაჭაში დარჩა მიტოვებული, ნახევრად წაქეული სახლი ბალახით ჯაგად ქცეული ეზო, უსიცოცხლო ბუნება. სამაგიეროდ, ზარზმის აყვავებული სამყარო, იქაური ბუნება და ტაძარი, რომელიც უდაბურ ადგილას ოდესღაც სერაპიონ ზარზმელმა ააგო უდაბურ, დაჭაობებულ ტბის მახლობლად და, ნაცვლად შფოთის, კაცისკვლის, ბოროტების სიმბოლოსი, იქცა აყვავებულ წმინდა ჰაერით კეთილ ადამიანთა საცხოვრისად. ესეც ერთგვარად მიგვანიშნებს ომის შემდგომ პერიოდზეც, რაც ყოველგვარი „საბჭოური“ რეალიების გარეშე აღწერა გრიგოლ აბაშიძემ. ალექსანდრე ფრონელი შემდეგი სიტყვებით აღწერს ზარზმას: „ახალციხიდან ზარზმამდე 35 ვერსია - წერდა ალექსანდრე ფრონელი თავის „დიდებულ მესხეთში“, - გზა მშვენიერია და ქვაფენილი. ასეთი ლამაზი, კოხტა და ტურფა ტაძარი ორი არ მეგულება მთელ საქართველოში. ზარზმა აშენებულია ამაღლებულ ადგილზე და თავს დაჰყურებს ქვაბლიანის ხეობას. გარემო მთები ტყითაა შემოსილი, ძირს ხეობა სავსეა ხეხილის ბაღებით და საამურად მიიკლავნება მათ შორის მდინარე ქვაბლიანი. სილამაზე ბუნებისა და სიტურფე ტაძრისა უნებურად ხიბლავს და ათრობს მაცქერალს და არ იცი, რას უყურო - ტურფა შენობას თუ თვალ-წარმტაც ბუნებას. სწორედ უფალს უხვი თვისი კალთა აქ, ზარზმაში დაუბერტყია” (ფრონელი, 1914:141).

გრიგოლ აბაშიძე მარტო იდეას არ მისდევს პოემაში. აქ მხატვრულ სახეთა სისტემაც ზოგადია, მაგრამ ბევრისმთქმელი ალიტერაციით „სუნთქავს“ თვით სათაურიც - „ზარზმის ზმანება“, სადაც აქცენტი გადატანილია ზ ბგერაზე საოცარ მუსიკალურ ხმოვანებაზე, ან თვით სტრიქონებზე:

„რა დაავიწყებს ძველისძველ ზარზმას,  
სამცხის დაცემას, ცეცხლსა და ჯვარცმას,  
მაგრამ ზეცას რომ გააქვს ზანზარი, -  
სხვას ესიზმრებათ ფესვებს მესხურებს,  
სიზმარს ცხადივით ხედავს ტაძარი,  
გოლეთიანებს როცა შეჰყურებს,  
როცა ქართული ჩაესმის ნანა” (აბაშიძე, 1980: 288-289).

შედარების სიუხვითაც გამოირჩევა პოემა, რაც საოცარ მშვენიერებას აძლევს თითქმის ხალხური ლექსის ზომაზე აწყობილ პოემას, მსუბუქი წასაკითხია და ამავედროულად მძიმე განცდებით აღსავსე, რაშიც იხატება პოეტის მხატვრული ოსტატობაც, რომელმაც შვილმკვდარი დედის სახეს ხალხური ბალადისგან განსხვავებით, ახალი დატვირთვა მისცა: არა მტრის დატირება, არამედ თანამებრძოლისა თუ უბრალოდ ჯარისკაცის საფლავის დატირება შვილმკვდარი დედის მიერ. მითუმეტეს, რომ პოემა ბალადის გამოქვეყნებიდან (1931, 1934) თხუთმეტიოდე წლის შემდეგ დაიწერა.

**დასკვნები.** ბალადის „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ ნაწილი ჭეშმარიტად წყარო გახდა ბევრი ახალი პოეტური ქმნილებისათვის, ერთი ამათგანია გრიგოლ აბაშიძის „ზარზმის ზმანება“. იგი წარმოადგენს, ამავედროულად, არა ხალხური ტექსტის ფაბულის უბრალო გამოყენებას, არამედ ახალ ტრანსფორმაციას, რომელშიც საოცარი სიცხადით

წარმოჩინდა ცოცხლად დაბრუნებული შვილის დედის მიერ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გლოვა, რითაც პოეტმა განაზოგადა ტკივილიანი გულდათუთქული დედის სახე ომის მძიმე ჭრილობებს რომ მოჰყვა მსოფლიოში და ჰუმანიზმის უმაღლეს გამოხატულებად იქცა.

პოემის სათაურსა თუ სხვადასხვა ნაწილებში ალიტერაციის ოსტატური გამოყენება მეტ მომხიბვლელობას აძლევს ხალხური ლექსის შთაბეჭდილებით შექმნილ პოემას, რაც გრიგოლ აბაშიძემ დიდი მხატვრულობით ცხადყო.

### გამოყენებული ლიტერატურა

- აბაშიძე, გრ. (1980). *ლექსები და პოემები*. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- არაბული, გ. (2010). *ცხოვრება და პოეზია*. გამომცემლობა „ბასიანი“.
- აფხაიძე, შ. (1959). *კრიტიკული წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- კიკნაძე, ზ. (2007). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ნიკოლეიშვილი, ა. (თ.გ.). *ქართული ლიტერატურა*. ტომი IV. გამომცემლობა საქართველოს მაცნე.
- რადიანი, შ. (1953). *ლიტერატურული პორტრეტები*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- ფრონელი, ა. (1914). *დიდებული მესხეთი*. გორი: გამომცემლობა „ქართლი“.
- შამანაძე, ნ. (1980). ფოლკლორი და ლიტერატურა. *ქართული ფოლკლორი*, X, გრიგოლ აბაშიძის პოეზიის ფოლკლორული წანამძღვრები.
- ჩხარტიშვილი, ლ. (2006). „*იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღედაღამ ტირისა?*“ მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/qristianuli-khelovneba/745-iqneba-vefkhvis-dedai-chemebr-dghedagham-tirisa.html>

### REFERENCES

- abashidze, gr. (1980). *leksebi da p'oemebi [Poems and poems]*. Publishing House „Sabchota sakartvelo“.
- arabuli, g. (2010). *tskhovreba da p'oezia [Life and Poetry]*. Publishing House „Basiani“.
- apkhaidze, sh. (1959). *k'rit'ik'uli ts'erilebi [Critical Letters]*. Tbilisi: Publishing House „Sakhelgami“.
- k'ik'nadze, z. (2007). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing.
- nik'oleishvili, a. (n.d.). *kartuli lit'erat'ura [Georgian Literature]*. Vol. IV. Publishing House “Sakartvelos matsne”.
- radiani, sh. (1953). *lit'erat'uruli p'ort'ret'ebi [Literary Portraits]*. Tbilisi: Publishing House „Sakhelgami“.
- proneli, a. (1914). *didebuli meskheti [Majestic Meskheti]*. Gori: Publishing House „Kartli“.
- shamanadze, n. (1980). *polk'lori da lit'erat'ura [Folklore and Literature]*. *Georgian Folklore*. X, Folklore Guides of Grigol Abashidze Poetry.
- chkhart'ishvili, l. (2006). „*ikneba vepkhvis dedai chemebr dghedagham t'irisa?*“ [“Will the Tiger's mother cry like mine day and night?”]. Retrieved from <http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/qristianuli-khelovneba/745-iqneba-vefkhvis-dedai-chemebr-dghedagham-tirisa.html>